განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

# განცხადება

11 თებერვალი, 2020 წელი

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) ეხმაურება პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გიგი უგულავას მიმართ, უზენაესი სასამართლოს მიერ, 10 თებერვალს გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს.

მმართველ პარტიასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე პოლიტიკური დიალოგის ფონზე, რომლის მიზანსაც კონსენსუსის გზით, საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით შეთანხმებას წარმოადგენდა, სამწუხაროდ, აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ზემოხსენებული მოლაპარაკებების პროცესი ჩიხში შეიყვანა და გააჩინა პასუხგაუცემელი კითხვები როგორც პროცესის მიმართ, ასევე დროსთან დაკავშირებით.

არსებული დაძაბული პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, საზოგადოების, სტრატეგიული პარტნიორებისა და ქართული მხარეების მოწოდებების კვალდაკვალ, პროცესის კონკრეტული შედეგებით დასრულების ნაცვლად გაიზარდა პოლიტიკური პოლარიზაცია. იმედს გამოვთქვამთ, რომ ჯერ კიდევ არსებობს პოლიტიკური დიალოგის, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საარჩევნო კოდექსის რეფორმის გაგრძელების შესაძლებლობა და რესურსი, რაც წარმოადგენს 2020 წელს თავისუფალი, სამართლიანი, სანდო და ლეგიტიმური არჩევნების ჩატარების მნიშვნელოვან წინაპირობას.